საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030152718295519

№ 01-69/ო **15 / თებერვალი / 2019 წ.**

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2019 წლის ბიზნეს-გეგმის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის N1830 განკარგულების, „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა“ და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ შორის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ 2014 წლის 3 ნოემბრის ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. დამტკიცდეს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2019 წლის ბიზნეს-გეგმის ბიუჯეტი შემდეგი პარამეტრებით:

1. შემოსავლები სულ - 10 338.9 ათასი (ათი მილიონ სამას ოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ლარი.
   მათ შორის:
   ა) საოპერაციო შემოსავლები - 10 078.9 ათასი (ათი მილიონ სამოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ლარი;
   ბ) არასაოპერაციო შემოსავლები - 260.0 ათასი (ორას სამოცი ათასი) ლარი.
2. ხარჯები სულ - 11 785.1 ათასი (თერთმეტი მილიონ შვიდას ოთხმოცდახუთი ათას ასი) ლარი.
   მათ შორის:
   ა) საოპერაციო ხარჯები - 9 940.6 ათასი (ცხრა მილიონ ცხრაას ორმოცი ათას ექვსასი) ლარი;
   ბ) არასაოპერაციო ხარჯები - 5.0 ათასი (ხუთი ათასი) ლარი.
   გ) ცვეთა/ამორტიზაცია - 1 839.5 ათასი (ერთი მილიონ რვაას ოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი;
3. საოპერაციო მოგება/ზარალი - 138.3 ათასი (ას ოცდათვრამეტი ათას სამასი) ლარი.
4. არასაოპერაციო მოგება/ზარალი - 255.0 ათასი (ორას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.
5. წმინდა მოგება/ზარალი - -1 446.2 ათასი (მინუს ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარი.
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, გიორგი წოწკოლაურმა.

მუხლი 2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო